




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კალანდია გენო ვლადიმერის ძე



გ. კალანდია

კალანდია გენო ვლადიმერის ძე (15. IV. 1940, ზუგდიდი, – 15. III. 2017, თბილისი), პოეტი, დრამატურგი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2013). აფხაზეთის ომის ვეტერანი. 1962–64 სწავლობდა მოსკოვში, ჟურნალისტიკის უმაღლეს კურსებზე, მუშაობდა საოლქო გაზ. „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში. 1974-იდან იყო აფხაზეთის თეატრალური საბ-ბის თავ-რე, იმავდროულად – აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივანი, 1989-იდან – თავ-რე, აღმანახ „რინის“ პ/მგ მდივანი, 2010-იდან – აფხაზეთის ლიტ-რისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თავ-რე, 2015-იდან – საქართვე. მწერალთა ეროვნ. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი. იყო სა-

ქართვე. პარლამენტის მე-2, მე-3, მე-4 მოწვევის დეპუტატი, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საპარლამენტო კომისიის თავ-რე. კ-ს პირველი წიგნი „ცა და ფოთლები“ გამოვიდა 1966, პირველი პიესები – „მთვარის საათი“, „ადგილის დედა“, „ძე შეცთომილი“ დაიდგა სოხუმის სახელმწ. დრამ. თეატრში. ავტორია 30-მდე პოეტური კრებულის და დრამატული პიესისა. კრებულები: „ფესვები“ (1990, 2011), „გრავალი და კარიატიდები“ (1994), „რეკვიემი“ (1999, 2008), „მესამე თვალი“ (2002), „ასი ლექსი“ (2009), „საგალობლები უფლისათვის“ (2014, 2017), „ორტომეული“ (2015) და სხვ. მისი ლექსები თარგმნილია რამდენიმე უცხო ენაზე. 1993 დააარსა და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აფხაზი პოეტის, გ. შერვაშიძის სახ. სახელმწ. პრემიების კომიტეტს. კ-ს მინიჭებული აქვს საქართვე. სახელმწ. პრემია (1994), ასევე გ. შერვაშიძის (2002), ი. ჭავჭავაძის (2003), საგურამოს (2015) ლიტ. პრემიები.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

ლიტ.: მ ე ს ხ ი ა ც., გენო კალანდიას პარადიგმების სამყარო, თბ., 2014; ძმები კალანდიები, 3 ტომად, თბ., 2003.

---